**კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო**
**COMPETITION AND STATE PROCUREMENT AGENCY**

KA080162255529412

თბილისი 0160, პეკინის გამზ. N28. ტელ: (+99532) 2 148 881 / 28, Pekini Ave., Tbilisi 0160. (+995 32) 2 148 881
www.procurement.gov.ge / info@procurement.gov.ge

**# 2236** **21 / აგვისტო / 2012 წ.**

შპს „დემარკ"–ის დირექტორს
ბატონ ვლადიმერ აბრამიშვილს

ბატონო ვლადიმერ,

გაცნობებთ, რომ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების (მათ შორის ინტერიერის დაგეგმარება და დიზაინი და ავეჯის დიზაინი) შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ #613 კონკურსზე, თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეესაბამება საკონკურსო განცხადების მე–7 პუნქტის მოთხოვნას, კერძოდ არ შეიცავს საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებულ უნიკალურ ნომერს, ასევე არასწორად არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონკურსო კომისიამ განახორციელა შპს „დემარკ"–ის დისკვალიფიკაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მე–4 მუხლის მე–8 პუნქტის საფუძველზე.

თავმჯდომარე ტატო ურჯუმელაშვილი